



საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 31 იანვრის N1540 და N1541 წერილები, რომლებიც ეხება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ლოტი I-ის (სამხრეთ პორტალი) და ლოტი II-ის (ჩრდილოეთ პორტალი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებს.

გაცნობებთ, რომ სამინისტროში წარმოდგენილ გზმ-ის ანგარიშებში გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ:

- გაურკვეველია და დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ალტერნატივები, შერჩეული გზის მარშრუტები და შესაბამისი პარამეტრები. გზმ-ის ანგარიშების მიხედვით, მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის მეთოდის გამოყენებით მეტად რთული იყო ფიზიკურად განხორციელებადი მიმართულების დადგენა. ამასთან, აღნიშნულია, რომ საუკეთესოა ალტერნატივა - 3ა. მოცემული წინადადებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ალტერნატივა - 3ა მიჩნეულ იქნა სხვა ალტერნატივებთან შედარებით უპირატესად, თუმცა არ წარმოადგენს შერჩეულ საპროექტო მარშრუტს. ამასთან აღსანიშნავია, რომ 3ა ალტერნატივის საპროექტო მონაცემები რადიკალურად განსხვავდება გზმ-ის ანგარიშების შესავალში და პროექტის მოკლე მიმოხილვაში აღწერილი საპროექტო მონაცემებისაგან. გაურკვეველია აგრეთვე მეორე ალტერნატივის აღწერაში მითითებული წინადადება, რომლის მიხედვითაც: „მომდევნო გაანალიზებისთვის და შემდგომი განვითარებისთვის ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ პირველ ალტერნატივას“;
- გზმ-ის ანგარიშებში დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო დერეფანში დაპროექტებული ხიდების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების **დეტალური** აღწერა. ამასთან არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს ხიდების განთავსების GPS კოორდინატები, საპროექტო ხიდები არ იდენტიფიცირდება არც წარმოდგენილ SHP ფაილებში. მოცემული ხიდების რაოდენობიდან და არსებული რთული რელიეფური პირობებიდან გამომდინარე გარემოზე ზემოქმედების სრულყოფილი შეფასებისათვის მნიშვნელოვანია გზმ-ის ეტაპზე ხიდების განთავსების კონკრეტული ადგილების იდენტიფიცირება მოხდეს არა ზოგადი პიკეტაჟების, არამედ GPS კოორდინატების ან/და SHP ფაილების მიხედვით;

- გზშ-ის ანგარიშებში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს მისასვლელი გზების არსებობის, მათი მდგომარეობის, ახლის მოწყობის ან/და რეაბილიტაციის შესახებ ინფორმაცია;
- ლოტი 1-ის გზშ-ის ანგარიშში ხელოვნური ნაგებობების აღწერის თავში მითითებულია, რომ „ყველა სამუშაო მოცემულია შესაბამის ტომებში“, დაზუსტებას საჭიროებს რომელ შესაბამის ტომებზეა საუბარი და რატომ არ არის განხილული აღნიშნული საკითხები დეტალურად გზშ-ის ანგარიშში;
- გზშ-ის ანგარიშებში საპროექტო დერეფნის რთული გეოლოგიური პირობების მიუხედავად გარემოზე ზემოქმედების შეფასების თავში (თავის 6) წარმოდგენილი არ არის გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშების დანართებში მოცემულია „გეოლოგიური ფონდური მასალები“, სადაც თავი 4 და შესაბამისი ქვეთავები (4.1; 4.2) ეთმობა გეოტექსტურისის მიერ ჩატარებულ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებს, რომლებიც მოცემულ პროექტებთან არ არის კავშირში და საჭიროებს დაზუსტებას;
- დაზუსტებას საჭიროებს ლოტი-2 გზშ-ის ანგარიშის დანართი - „საინჟინრო გეოლოგიური ანგარიშის შესახებ“, ვინაიდან აღნიშნული დანართის მეორე ნაწილში „გეოტექნიკური გამოკვლევების“ შესახებ თავფურცელში მითითებულია: „ლენტეხისა და მესტიის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ჩრდილო პორტალი-ლემგუანის 4 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა“. აღნიშნულიდან გამომდინარე ირკვევა, რომ გეოტექნიკური გამოკვლევა ჩატარებულია მითითებულ 4 კმ-ზე, როცა ლოტი-2 საპროექტო გზის სიგრძე შეადგენს 12,718 კმ-ს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ლოტი-1 გზშ-ის ანგარიშს ზემოაღნიშნული სახის დანართი (გეოტექნიკური გამოკვლევების შესახებ) არ ახლავს;
- გზშ-ის ანგარიშების 6.5 ქვეთავი (ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე) საჭიროებს დაზუსტებას. საპროექტო დერეფანში დაგეგმილი ხიდები ეწყობა მდინარეებზე, რომლებიც მოცემულ ქვეთავში ზემოქმედების მთავარ რეცეპტორებად (გარდა მდ. ენგურის) არ არის მითითებული და აღნიშნულია რომ „ზემოქმედების ძირითად რეცეპტორებს მდ. შავლელე და მდ. ენგური წარმოადგენს, ხოლო სამშენებლო ბანაკის ფუნქციონირების შედეგად შესაძლებელია მდ. დოღრას წყლის დაბინძურება“. ამასთან საპროექტო დერეფნის რთული რელიეფური პირობების მიუხედავად არ არის განხილული ხიდების მშენებლობით გამოწვეული კონკრეტული სახის ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტებზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გზშ-ის ანგარიშებიდან არ ჩანს ბიოლოგიური კვლევის მეთოდები, ხანგრძლივობა და პერიოდი, ასევე გზშ-ებში არ არის განხილული ზემოქმედება იქტიოფაუნაზე. სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნას გადამუშავებული, სათანადო კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ბიომრავალფეროვნების ნაწილი, სადაც აისახება უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ზემოაღნიშნული კვლევების მასალები ფოტოებთან ერთად;

- გზშ-ის ანგარიშებში წარმოდგენილი პროექტის აღწერა (თავი 4 შესაბამისი ქვეთავებით), აგრეთვე გარემოზე ზემოქმედების აღწერა (თავი 6 და შესაბამისი ქვეთავები) ზოგადი ხასიათისაა, შესაბამისად საჭიროებს მეტ დეტალიზაციას;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესახებ, სადაც ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთიანი ცხრილის სახით. მოცემული ცხრილი ზოგადი ხასიათისაა და ხშირ შემთხვევაში მითითებული თავები რეალურად არ ასახავს მოთხოვნილ ინფორმაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ლოტი I-ის (სამხრეთ პორტალი) და ლოტი II-ის (ჩრდილოეთ პორტალი) გზშ-ის ანგარიშები საჭიროებს გადამუშავებას. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაკორექტირებული გზშ-ის ანგარიშების და თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

ხატია წილოსანი



მინისტრის მოადგილე

